მედიაწიგნიერების სწავლების მნიშვნელობა სკოლებში

ნინო ირემაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
iremadzen225@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია იმ ცოდნისა და უნარების სწავლების გზები რასაც ჩვენ მედიაწიგნიერებას ვუწოდებთ. ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების ცოდნა, აღქმა. მედიის წყაროებიდან ძირითადი, მკაფიო შეტყობინებების აღქმის უნარი, რომ შეძლოს ანალიტიკური კითხვების დასმა. ინფორმირებულობა-ყურადღების გამახვილება მედიაშეტ-ყობინებების არსებობასა და მატ როლზე ადამიანის ცხოვრებაში. ანალიზი-მედიაშეტყო-ბინებების დეკოდირება, მათზე კრიტიკულად და დამოუკიდებლად დაფიქრებისათვის. შეფასება - ინფორმირებული და დსაბუთებული მსჯელობა მედიაშეტყობინებების კონკრე-ტული მიზნების მნიშვნელობის ან სარგებლიანობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: წიგნიერება, მედიაწიგნიერება, დეკოდირება, კრიტიკული აზროვნება

1. შესავალი.

იცვლება აღქმა იმისა, თუ რას ნიშნავს იყო წიგნიერი. მთელ მსოფლიოში ეს ცვლილება მიმდინარეობს სკოლებსა და ბიბლიოთეკებში. ეს გამოწვეულია ტექნოლოგიების ცვლი-ლებებით. ციფრული და ინტერაქტიული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება თითქმის შეუზღუდავი ინფორმაციისა და გლობალური აუდიტორიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, რამაც სამუდამოდ შეცვალა განათლების ხასიათი და ძირითადი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა იმისთვის, რომ ვიყოთ ინფორმირებული მოქალაქე, პროდუქ-ტიული მუშაკი, კარგი მასწავლებელი და უწყვეტად ვსწავლობდეთ რაიმე ახალს. სტატია ეხება იმას, თუ რას ნიშნავს იყო წიგნიერი დღევანდელ რთულ მედია გარემოში და როგორ შეუძ-ლიათ მასწავლებლებს, გამოიყენონ მედიაწიგნიერების განათლება ამ პროცესში მოსწავლეებ-ის ჩასართავად, რათა მოამზადონ ისინი ციფრული სამყაროს მუდმივად ცვალებადი გარემოსთვის.

ჩვენ მუდმივად განვიცდით ინფორმაციულ ზემოქმედებას ,რის გამოც მუდმივად ფხიზლად უნდა ვიყოთ. იმის გამო რომ ადამიანი არ გახდეს ინფორმაციით მანიპულირების მსხვერპლი აუცილებელია მედიაწიგნიერების უნარების განვითარება. ასევე, დღევანდელ სამყაროში რთულია იყო წარმატებული, აქტიური, პასუხისმგებლიანი მოქალაქე, თუ არ იცი, როგორ იპოვო, აირჩიო, შეაფასო, გაფილტრო, გადაამოწმო, შექმნა ,გაავრცელო და მოიხმარო ინფორმაცია. ეს კომპეტენციები ეხმარება თანამედროვე ადამიანს, რომ მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასევე, ეს კომპეტენციები ეხმარება ადამიანს მნიშვნელოვანი პიროვ-ნული თუ პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას.

მედიაწიგნიერების სწავლების მიზანი მოიცავს სწავლების ისეთ პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეებში ცოდნისა და აზროვნების განვითარებას. ხოლო განავითარებენ თუ არა მოსწავლეების ამ უნარებს ეს დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ და რას ასწავლით. მასწავ-ლებელი უნდა იყოს ღია, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არსებობდეს უნდა დიალოგი. სწავლების ასეთი სტრატეგიების არსებობა მედიაწიგნიერების განათლებაში მკაცრად ასახავს ლევ ვიგოტსკის სოციალურ-კონტრუქტივისტულ თეორიას.

შესაძლებელია მედიაწიგნიერების ინტეგრირება ნებისმიერ საგანსა და სწავლების ნებისმიერ საფეხურზე. როცა სწავლება კრიტიკული აზროვნების პრინციპებზე დგას, თითოეული მოსწავლე თავად ახორციელებს საკუთარი იდეის, შეფასების, მრწამსის ფორმულირებას. ჩვეულებად აქციონ ყველაფრის შესახებ შეკითხვების დასმა, პედაგოგებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, რათა დაეხმარონ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების ძლიერი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

მედიაწიგნიერების სწავლება იწყება კონკრეტული შედეგების გათვალისწინებით და შემდეგ იქმნება სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება მიზნების მიღწევაში.

მედიაწიგნიერების სწავლების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს კვლევითი ჩვევებისა და გამოხატვის უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც მათ დაეხმარება კრიტიკულ აზროვნებაში, გახდნენ ეფექტური კომუნიკატორები და დღევანდელი მსოფლიოს აქტიური მოქალაქეები. მიზანია კრიტიკულად მოაზროვნეების, ეფექტური კომუნიკატორებისა და აქტიური მოქალა-ქეების ფორმირება. ამ მიზნებამდე მისასვლელი სტრატეგიები იყოფა ორ ნაწილად: კვლევითი უნარ-ჩვევები და გამოხატვის უნარები [1].

ამ სტრატეგიის შესწავლისას გამოცდილი პედაგოგები იპოვნიან ყველასთვის ნაცნობ და ახალ ინფორმაცია, რადგან მედიაწიგნიერების განათლება ემყარება არსებულ საგანმანათ-ლებლო პრაქტიკას.

მდიაწიგნიერების განათლება მოითხოვს აქტიურ კვლევას და კრიტიკულ აზროვნებას ჩვენ მიერ მიღებულ და შექმნილ შეტყობინებებზე. რადგან კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია, მედიაწიგნიერების პედაგოგებმა დიდი დრო უნდა დაუთმონ და ასწავლონ კითხვების დასმა, არა მხოლოდ მაშინ როდესაც მოსწავლეები აანალიზებენ მედიაშეტყობინებებს რომლების სხვებმა შექმნეს, არამედ მაშინაც, როდესაც ისინი თავად ქმნიან მედიაშეტყობინებებს. შეკით-ხვა უნდა დაისვას სწორად იმის შესახებ, თუ რას უყურებ, რას კითხულობ ან რას უსმენ. მნიშვნელოვანია რომ მოსწავლეებმა ისწავლონ კითხვების დასმა. ტექსტის კრიტიკული შეფასებისას მნიშვნელოვანია პასუხი მივიღოთ კითხვაზე „რატომ“-ეს დაეხმარება მოსწავ-ლეებს ტექსტის კრიტიკულ შეფასებაში, ტექსტის გააზრებაში და აიოლებს სწავლების პრო-ცესს. რატომ? რა საჭიროა ამის შესწავლა, ამის კეთება, რაში გამომადგება დღეს ან სამომავლოდ? რა სარგებელს მომიტანს. მომდევნო კითხვაა „როგორ ?“ როგორ შეიძლება მივაღწიო მიზანს, რა არის საჭირო კონკრეტული საკითხის შესასწავლად? მომდევნო კითხვაა „რა?“ რას ვსწავლობ, რა დავალებას ვასრულებ [1, 2]?

კრიტიკული აზროვნება აუცილებელია მედიაწიგნიერებისთვის, ხოლო მედიაწიგნიერება -კრიტიკული აზროვნებისთვის.

კრიტიკული აზროვნება მოიცავს საკუთარი მიუკერძოებლობისა და პერსპექტივების ცოდნას, მათ მოკვლევას და არა მათი ზეგავლენის ქვეშ მოქცევას, მათ შეცვლას ახალი ფაქტების ან დამაჯერებელი არგუმენტების ფონზე.

მედიაწიგნიერების სწავლებისთვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ კრიტიკული აზროვნების ხუთ ძირითად კომპონენტზე.

1. ცნობისმოყვარეობისა და კითხვების დასმის სურვილი. კრიტიკულად მოაზროვნეებს სურთ, ყველაფერი იცოდნენ.
2. მუდმივი ჩართულობა ძიების პროცესში-ეძებენ ინფორმაციას, აანალიზებენ და აფასებენ.
3. თანდაყოლილი სკეპტიციზმი-ვარაუდების, მოტივებისა და ფაქტების ძიება.

4. მსჯელობის ჯანსაღი შეფასება-ფაქტებისა და მოსაზრებების განსხვავება. სანდო მტკიცებულების ცოდნა, ლოგიკის გამოყენება დასკვნების გამოსატანად.
5. მოქნილობა და გონებამახვილობა-კრიტიკულად მოაზროვნეები ეჭვქვეშ აყენებენ საკუთარ ვარაუდებს და მზად არიან ,შეიცვალონ აზრი ფაქტების საფუძველზე.

შეფასება მედიაწიგნიერების არსებითი კომპონენტია [1,2].

განავითარებენ თუ არა მოსწავლეები სინამდვილეში კვლევით ჩვევებსა და გამოხატვის უნარებს, რომ გახდნენ კრიტიკული მოაზროვნეები, აქტიური მოქალაქეები და უკეთესი კომუნიკატორები, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ და რას ასწავლიან.

თუ ჩვენ გვინდა, რომ მოსწავლეები იყვნენ მკაცრი კრიტიკული მოაზროვნეები ,მაშინ ჩვენ უნდა მოვახდინოთ ყველა მედიასაშუალების ანალიზის მოდელირება და არა მხოლოდ ღირებულების გამომხატველი მედია საშუალებებისა, რომლებსაც ვიმედოვნებთ, რომ მოსწავ-ლეები უარყოფენ.

მოსწავლეების მიმართ უნდა გამოვხატოთ ღიაობა მათი კულტურის იმ ნაწილის მიმართ რომელსაც შეიძლება არ ვიზიარებდეთ და ამის შემდეგ უნდა ველოდოთ მათი მხრიდან გონება გახსნილობას და თავაზიანობას. უნდა ვასწავლოთ როგორ დადგნენ ღირსეულად გამოწვე-ვების წინაშე [1].

სწავლების ასეთი ტიპის სტრატეგიები მედიაწიგნიერების განათლებაში ასახავს ლევ ვიგოტსკის სოციალურ კონსტრუქტივისტულ თეორიას, რომელშიც ურთიერთგაგება ჩნდება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის დიალოგის შედეგად. მედიაწიგნიერებბის სწავლების პროცესში პედაგოგები უზრუნველყოფენ მედიის ანალიზს საკვანძო კითხვებისა და შემდგომი კვლევის საშუალებით, შემდეგ ეტაპობრივად ჩამოშორდებიან პროცესს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი შეკითხვების დასმა მედია საშუალებები შესახებ და ასახონ თავიანთი და სხვების ინტერპრეტაციების შესახებ.

იმისთვის, რომ მედიაწიგნიერების განათლებამ მიაღწიოს წარმატებას სკოლებმა უნდა შექმნან ისეთი სოციო-კულტურული გარემო როგორსაც ვიგოტსკი განიხილავს.

იმისთვის, რომ მოსწავლეებს ასწავლონ, თუ რა უნდა მოძებნონ პედაგოგებმა უნდა დაიწყონ საგანმანათლებლო მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება, რის შესრულებაც შესაძ-ლებელია დოკუმენტის დეკოდირებბის პროცესის საშუალებით, რაც შეიძლება კარგად მოიცავდეს ლექსიკას და სხვა ძირითად კონტენტს, რომელიც ისწავლება დეკოდირების დროს ან მანამდე. მედიის ხასიათიდან გამომდინარე პედაგოგებმა შეიძლება გააცნონ მოსწავლეებს გარკვეული ტერმინები, რომლებიც აღბეჭდავს სპეციფიკურ შინაარსს ან ტექნიკას, რომლების ხშირად ჩანს მედიასაშუალებებში.

დეკოდირების დაწყებამდე უზრუნველვყოთ უნდა საჭირო ინფორმაცია. მაგალითად ვიდეოკლიპის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს შევუქმნათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რაზე გაამახვილონ ყურადღება, თუ რაზე იქნება საუბარი შემდ-გომ დისკუსიაში. ყურადღება უნდა გაამახვილონ შინაარსზე. დეკოდირების დაწყება აუცილე-ბელია შეკითხვით. შეკითხვის დასმა ახდენს ტვინის სტიმულირებას. შეკითხვები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა ჩართულობის დროს [1].

- რა სახის შეტყობინებებს ხედავთ?
- რას გრძნობდით როდესაც უყურებდით (კითხულობდით ან უსმენდით) მედიაშეტ-ყობინებას?
- ვინმეს აქვს კომენტარი ან კითხვა დისკუსიის დასაწყებად?

- შესაძლებელია დაწყება ერთ-ერთი საკვანძო კითხვით მედიაშეტყობინებების ანალიზისთვის.
- ვინ არის მედიაშეტყობინების სამიზნე აუდიტორია და საიდან იცით ამის შესახებ?
- ეს ფაქტია, მოსაზრება თუ რამე სხვა?
- ვის შეუძლია სარგებელი მიიღოს ამ შეტყობინებებით?
- ვის შეიძლება ზიანი მიადგეს?
- რა ტექნიკას იყენებს მედიის შემქმნელი შეტყობინებების გადმოსაცემად? (მათემატიკა, სიტყვის თავისუფლება, ღირსება და ა.შ.)

შესავალი კითხვები მნიშვნელოვანია, რადგან ისინი დეკოდირებას კონკრეტულ მიმართულებას აძლევენ და ქმნიან მიდგომას. შესავალი კითხვების ფორმულირებით ისე, რომ მასზე ყველას პასუხი ექნება ,პედაგოგები მოსწავლეების პროცესში ჩართულობის შანსებს გაზრდიან.

კითხვების დასმით მოსწავლეების უნდა მივიყვანოთ სასურველ მოსაზრებამდე ან სწორ პასუხამდე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მოსწავლეებს უნდა დავეხმაროთ გაანალიზონ ან შეაფასონ მედიაშეტყობინება მასწავლებლის თვალსაზრისისგან დამოუკიდებლად. კითხვები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომლებიც უნებლიედ არ მოახდენენ მოსწავლეების თვალსაზრისის მიკერძოებას.

მედიაწიგნნიერების ინტეგრირების მიზნით კარგი იქნება ზოგადი სავარჯიშოები შევცვალოთ მედიასთან დაკავშირებული მაგალითებით. გამოვავლინოთ უნდა სწავლების მომენტი რომლების ხდება, როდესაც მოსწავლეები აღწერენ მედიას. გავეცნოთ თუ რა საშუალებებს იყენებენ მოსწავლეები და გავზარდოთ მათი ცოდნა მედიის არჩევანის შესახებ. განსჯის გარეშე დაავალეთ დასვან ისეთი შეკითხვები რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ,კრიტიკულად იფიქრონ თავიანთი მედიის გამოცდილების შესახებ.

ინფორმაციის წყაროებად ბეჭდურ მედიასთან ერთად გამოიყენეთ არაბეჭდური მედიაც, როდესაც იყენებთ ვიდეო, აუდიო ან ციფრულ პროგრამებს იზრუნეთ იმის დემონსტრირებაზე, რომ ეს მედია, გარდა გასართობისა ,შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წყარო აქტიური სწავლისა და მოსმენისათვის [1,2].

მოსწავლეებს მოეთხოვებათ გააკეთონ ჩანაწერები და განიხილონ შინაარსი.

დაეხმარეთ მოსწავლეებს ყურადღება გაამახვილონ იმაზე, რაც გინდათ, რომ ისწავლონ, გააცანით წინასწარ გაკვეთილის მიზანი კონკრეტული მედიის საშუალებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მედიასაშუალებების დახმარებით, რომელსაც მოსწავლეების იყენებენ გასართობად, რადგან იმ მიმართულებით რა მიმართულებითაც მოსწავლე ირჩევს ყურადღების კონცენტრირებას, გავლენას ახდენს იმაზე ,რასაც ისინი სწავლობენ და ახსოვთ. სწორი ტიპის მოთხოვნებს შეუძლია მოსწავლის ყურადღება მიმართოს კონკრეტულ მასალაზე და განავითაროს აქტიური ჩართულობა.

დაავალეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ საკვანძო შეკითხვები თავიანთ ნაწერებში და სხვა შემოქმედებით პროექტებში.

ჩართეთ მედიაწიგნიერება ახალი თემოს შესწავლაში. დაეხმარეთ მოსწავლეებს შექმნან მედიაწიგნიერების ინსტრუმენტები რაც მოიცავს სტრუქტურას, ტერმინებს, კონცეფციებს და რესურსებს. რაც მათ დაეხმარება მედიის შეტყობინებების გამოკვლების პროცესში.

შესაძლებლობა მიეცით მოსწავლეებს, ურთიერთობა იქონიონ და ითანამშრომლონ ადამიანებთან სკოლის ფარგლებს გარეთ, ახალი მედიასაშუალებების დახმარებით. დაავალეთ მოსწავლეებს იპოვონ ექსპერტები თემაზე, რომელთაც შესაძლოა ჩამოართვან ინტერვიუ ან განიხილონ საკითხები ამ თემის შესწავლის ფარგლებში. განსაზღვრეთ ,თუ რა გზით შეიძლება

თქვენმა მოსწავლეებმა იქონიონ ურთიერთობა ან ითანამშრომლონ სხვა სკოლის ან თუნდაც ქვეყნის მოსწავლეებთან, რათა გაიღრმავონ თავიანთი შეხედულება და კულტურული განსხვავებები. გამოიყენეთ მედიის მაგალითები, როგორც შეფასების ნაწილი. ჩვევად აქციეთ, შეაგროვეთ მედიადოკუმენტაციის მაგალითები, რომლებიც მოიცავს როგორც ზუსტ, ასევე არაზუსტ ინფორმაცია ან ასახავს თემებს რომლებსაც კლასში გადიხართ. სტანდარტული შეფასების ნაწილად, საკითხის ბოლოს დაურთეთ რამდენიმე მაგალითი, სთხოვეთ მოსწავლეებს, აღნიშნონ ფაქტები რომლებიც შეესაბამება და არ შეესაბამება სიმართლეს, იმის საფუძველზე რაც მათ კლასში ისწავლეს. გამოიყენეთ ვიდეო თამაშების შეფასების სისტემა ისეთი აქტივობებისთის, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას მოიაზრებს [1].

წაახალისეთ მოსწავლეები ,გამოაქვეყნონ თავიანთი წერილობითი ნაშრომი ან განათავსონ ვიდეო ან ფოტოსურათები ინტერნეტში და იმსჯელონ რომელი საიტი იქნება ამისთვის საუკეთესო პლატფორმა.

3. დასკვნა.

ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „მედიაწიგნიერება“ რადგან წიგნიერების ცნება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ხედვაში, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ მედიაწიგნების შეტანა სკოლებში. მედიაწიგნიერება არ არის მხოლოდ მედიატექნოლოგიის, როგორც სწავლების ინსტრუმენტის დამატება ან მედია ანალიზის გაკვეთილის ან წარმოების პროექტის ცასმა აქა-იქ. ტრადიციული წიგნიერების მსგავსად, მედიაწიგნიერება არის სწავლების ფართო მიდგომა.

ჩვენ მოველით, რომ მოსწავლეები გამოიყენებენ მედიაწიგნიერების უნარს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სინდი შაიბი, ფეით როგოვი, „მედიაწიგნიერება:კრიტიკული აზროვნება მულტიმედიურ სამყაროში“, კორვინის გამოცემა,2012
2. კომუნიკაციების კომისია 2023,თბილისი მედიაწიგნიერების გაკვეთილები

The importance of teaching Media literacy in schools

Nino Iremadze

Batumi Shota Rustaveli State University

Iremadzen225@gmail.com

Abstract

The paper Media Literacy starts by asking, what does it mean to be literate in todays world and how can those literacy skills be developed? The authors answer those questions by providing concrete innovative way to integrate media litarecy across the curriculum and teach students to be independent, skilled, and reflective thinkers .Through dozens of suggested activities, teaching strategies, and lessons, allows schools to integrate media literacy into teaching at all grade levels and core content areas ,teach 21st century skills and higher order critical thinking. Engage students by bridging schoolwork with their lives outside the classroom.

Keywords: Media, Literacy, critical thinking, decoding